# პროექტი – “ძლიერი პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული საარჩევნო პროცესებისათვის“

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია – „სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“

პროექტი დაფინანსებულია "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ“

## პროექტის მიზანი

**პროექტის მიზანი:** პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა დემოკრატიული საარჩევნო პროცესების მისაღწევად საქართველოში

**პროექტის ხანგრძლივობა:** 2016 წლის 5 ივნისი – 5 სექტემბერი

**პროექტის სამიზნე ჯგუფი:** თბილისში მოქმედი 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები და წარმომადგენლები

**გეოგრაფიული დაფარვის არეალი:** თბილისი

## პროექტის ამოცანები:

ამოცანა I - საგანგებოდ შექმნილი ტრეინინგების კურსის საშუალებით თბილისის 10 საოლქო სარჩევნო კომისიაში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების და წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების გაზრდა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მზადება

ამოცანა II - საგანმანათლებლო–საინფორმაციო პროგრამის განხორციელება ქვეყანაში საარჩევნო კულტურის განვითარების მიზნით: (1) საინფორმაციო-სატრენინგო მასალებისგან ბროშურის მომზადება; (2) რადიო გადაცემების ციკლის მომზადება

**დაიგეგმა 11 პოლიტიკური პარტიიდან თბილისის 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წევრებისთვის და წარმომადგენლებისთვის 4 დღიანი ტრენინგი 170 მონაწილისთვის. სულ ჯამში ჩატარდა 40 ტრენინგი.**

**იმდენად რამდენადაც ტრენინგებმა მაღალი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეთა რაოდენობაც გაიზარდა: სულ ჯამში ტრენინგებს დაესწრო 216 ადამიანი, მათ შორის 156 მონაწილე ქალია, 60- კაცი. რაოდენობა ასე გადანაწილდა:**

| N | პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება | მონაწილეთა რაოდენობა-დაგეგმილი | მონაწილეთა რაოდენობა-აკუმულირებული | ქალი | კაცი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს კონსერვატიული პარტია | 20 | 20 | 17 | 3 |
| 2 | ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო | 20 | 20 | 8 | 12 |
| 3 | თავისუფალი დემოკრატები | 20 | 22 | 18 | 4 |
| 4 | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | 20 | 29 | 18 | 11 |
| 5 | საქართველოს რესპუბლიკური პარტია | 20 | 21 | 17 | 4 |
| 6 | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა | 10 | 22 | 20 | 2 |
| 7 | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 20 | 21 | 18 | 3 |
| 8 | ახალი მემარჯვენეები | 10 | 10 | 9 | 1 |
| 9 | ეროვნული ფორუმი | 10 | 16 | 12 | 4 |
| 10 | საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 10 | 14 | 6 | 8 |
| 11 | საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 10 | 21 | 13 | 8 |
| ჯამი | | 170 | 216 | 156 | 60 |

# ტრეინინგების თემატიკა:

- ტრეინინგის I დღე:

1. არჩევნების ისტორია; საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის სამოქალაქო უფლებების შესახებ; ქალთა მონაწილეობა არჩევნებში;
2. არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა

- ტრეინინგის II დღე:

1. გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება;
2. წინასაარჩევნო კამპანია

- ტრეინინგის III დღე:

1. ადმინისტრაციული რესურსები;
2. საარჩევნო ციკლი და საკანონმდებლო სიახლეები; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა; კენჭისყრის დღის პროცედურები

- ტრეინინგის IV დღე:

1. კონფლიქტების მართვა, საარჩევნო დავები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა

# საინფორმაციო – საგანმანათლებლო კომპონენტი –

## (1) საგანგებოდ მომზადებული ბროშურა

სპეციალურად მონაწილეთათვის მომზადდა და გამოიცა ბროშურა, რომელიც მოიცავს ყველა იმ სატრენინგო მასალას, რომლის მიხედვით გადიოდა სწავლების კურსი. ბროშურა მონაწილეებს დაურიგდათ ჰენდაუთების ნაცვლად. მასალა მომზად-და ტრეინინგების მონაწილეთათვის, თუმცა ის დაურიგდა ასევე პოლიტიკური პარტიების სხვა წევრებსაც და საკითხით დაინტერესებულ პირებს.



## (2) რადიოგადაცემათა ციკლი:

- მომზადდა სპეციალური რადიოგადაცემათა ციკლი არჩევნების თემატიკასთან დაკავშირებით: 6 გადაცემა ქრონომეტრაჟით – 30 წუთი, კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს 19:10 წუთზე ,,პირველი რადიო“-ს ეთერში FM 106.4-ზე; პერიოდი: ივლისი – აგვისტო, 2016 წელი

- გადაცემაში მონაწილეობა მიიღო 14-მა პოლიტიკურმა პარტიის და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციამ და ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ:

  პარტია – „ახალი მემარჯვენეები’’; „ლეიბორისტული პარტია“; ‘‘ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“; პარტია – ‘‘ეროვნული ფორუმი’’; პარტია – ‘’დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“; პარტია – ‘‘ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; პარტია – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“; პარტია – „ახალი საქართველო“; პარტია – „მემარცხენე ალიანსი“; პარტია –„ქართული ოცნება’’; პარტია “თავისუფალი დემოკრატები’’ ; პარტია – „პატრიოტთა ალიანსი“; პოლიტიკური მოძრაობა – ‘’მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; „რესპუბლიკური პარტია“; ასევე ორგანიზაცია – „სამართლიანი არჩევნების’’ იურისტი ნინო რიჟამაძე და ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე – გიორგი შარაბიძე.

# რადიოგადაცემათა ციკლი:

archevnebi 2016.mpg



# მიღწეული შედეგები:

- პროექტმა ხელი შეუწყო 11 პოლიტიკური პარტიის ადამიანური რესურსების საარჩევნო შესაძლებლობების გაზრდას – ჩატარებულ ტრენინგებში დაგეგმილზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. სულ რეგისტრაცია გაიარა 216-მა ადამიანმა; გაიზარდა მათი ინფორმირებულობა და ცოდნის დონე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და შესაბამისად გაიზარდა მათი მოტივაცია და შემართება;
- აღსანიშნავია პროექტში მონაწილე ახალგაზრდების სიმრავლეც, რომლებიც მოწადინებულნი არიან ისწავლონ და იღვაწონ თავიანთი პარტიის და ქვეყნის საწინაოდ.
- რადიო გადაცემებში მონაწილეობა მიიღო 14-მა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელთაც მიეცათ დამატებითი უფასო საეთერო დრო საზოგადოებისთვის გაეცნოთ თავიანთი მოსაზრებები, პროგრამები და საარჩევნო მზადების შესახებ ინფორმაცია; თავის მხრივ მოსახლეობას მიეცა საშუალება მეტი გაეგოთ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების აქტივობების შესახებ, რაც მეტ გამჭვირვალობას სძენს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას.

ტრენინგებში მონაწილეებმა, უკლებლივ ყველამ აღნიშნა, რომ ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას ძლიერ და მდგრად დემოკრატიულ ინსტიტუტებად, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად აწარმოონ საარჩევნო კამპანია, წარმოადგინონ მოქალაქეთა ინტერესები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დემოკრატიულ მშენებლობაში.

ამ ტიპის პროექტების მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია საზოგადოების დაკვეთასთან და მისი საჭიროება და პოლიტიკური პარტიების უფრო მეტი წევრების და წარმომადგენლის გადამზადება მრავალგზის აღინიშნა როგორც მნიშვნელოვანი სამომავლო აქტივობა ცესკოს და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ყველაფერი იწყებოდა ასე:









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:











# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

იყო დისკუსიები და ხანდახან ცხარე კამათიც









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:







# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ვაკეთებთ სავარჯიშოებს









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:











# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ხანდახან ფეხზე დამდგარი ვმეცადინეობთ ან ავად ვართ და მაინც არ ვაცდენთ ☺









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ვაკეთებთ ექსპრესიულ პრეზენტაციებს









# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

იუმორს არ ვუჩივით და ტრენერსაც ვახალისებთ :D












# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ყველაზე პატარა მონაწილეც გვყავდა





# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

აი, ასეთი ხედი გვქონდა ტერასიდან და ასე ვისვენებდით











# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

აი, ასეთი ტორტი გვქონდა –ტორტის გაჭრის ცერემონიალი











# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

ტორტის მერე სერტიფიკატების გადაცემა მხიარულ ნოტაზე სრულდება











# ფოტორეპორტაჟი ტრენინგებიდან:

საფინალო ჯგუფური ფოტოებიც გადავიღეთ









# სხვა სფეროშიც ნიჭიერები















მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ !





# შეფასებების ფურცლებიდან ნაწყვეტები:

2. ტრენინგზე განხილული საკითხებიდან რომლები იყო თქვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი, გამოსადეგი?

[illegible]

3. თქვენი აზრით, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა ამ პროგრამაში?

[illegible]

3. თქვენი აზრით, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა ამ პროგრამაში?

[illegible]

3. თქვენი აზრით, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა ამ პროგრამაში?

[illegible] ☺

# შეფასებების ფურცლებიდან ნაწყვეტები:

შეაფასეთ წამყვანები ხუთქულიან სკალაზე

1 2 3 4 5 (6)

ურჩევდით თუ არა თქვენს კოლეგებს ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებას?

(კი – [illegible]) არა

ისურვებდით თუ არა მომავალში ჩვენს მიერ მოწყობილ სხვა ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას?

([illegible]) არა

[illegible]

2. ტრენინგზე განხილული საკითხებიდან რომლები იყო თქვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი, გამოსადეგი?

[illegible]

3. თქვენი აზრით, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა ამ პროგრამაში?

[illegible]

4. შეაფასეთ წამყვანები ხუთქულიან სკალაზე
5.

1 2 3 4 (5)

6. ურჩევდით თუ არა თქვენს კოლეგებს ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებას?

(კი) არა

6. ისურვებდით თუ არა მომავალში ჩვენს მიერ მოწყობილ სხვა ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას?

(კი) არა

3. თქვენი აზრით, რისი გაუმჯობესება შეიძლებოდა ამ პროგრამაში?

[illegible]

[illegible]

## და ბოლოს –აი, ასეთი ღიმილიანი არჩევნები და საქართველო გვინდა











დიდი მადლობა ყურადღებისთვის!